საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2023 წლის აპრილი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2023 წლის აპრილის თვეში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2023 წლის 4 აპრილს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის მე-10 და მე-11 ნაწილები (ხანდაზმულობის ვადა); მე-8 მუხლი (ტერმინთა განმარტება); 55-ე მუხლი (საგადასახადო ვალდებულების შესრულება საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას (მათ შორის, დაშლის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შემთხვევაში)) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.020844

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-13 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლის მე-12 ნაწილი და მე-13 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საბაჟო კოდექსი

2023 წლის 4 აპრილს საქართველოს საბაჟო კოდექსის შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, მე-6 მუხლის პირველ ნაწილს დაემატა შემდეგი შინაარსის „ჰ[9]“ ქვეპუნქტი:

„ჰ[9]) საბაჟო მარშრუტი – საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული ტრაექტორია ან/და ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების ადგილამდე (საბაჟო კონტროლის ზონამდე ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილამდე ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილამდე) გადაზიდვის/გადატანის მიმართულება.“. მე-8 მუხლი (საქართველოს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი უცხო ქვეყნის ვალუტის მიმართ) და სხვა მუხლები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230000000.05.001.020845

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“

2023 წლის 4 აპრილს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, კერძოდ, 38-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 13[2] პუნქტი:

„13[2]. საფასურის გადახდისა და დაკისრებისგან თავისუფლდებიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქონების მართვის სააგენტო და მისი კრედიტორები.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 070000000.05.001.020846

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2023 წლის 3 აპრილს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №119 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლს მე-19 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-20 პუნქტი:

„20. ინსტრუქცია „საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ“ (დანართი №20).“.

2. მე-6 მუხლის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-7 მუხლი:

„მუხლი 7

ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ“ (დანართი №20) ინსტრუქცია, „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ტექნიკური ნაწილით – „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ (New Computerized Transit System/NCTS) დანერგვის მიზნით, განსაზღვრავს დროებით გასატარებელ ღონისძიებებს.“.

3. დანართი №19-ის შემდეგ დაემატა კანონპროექტზე თანდართული რედაქციის დანართი №20 (ინსტრუქცია „საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ“).

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017680

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრანებაში 2023 წლის 11 აპრილს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №130 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება და მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. ამ ბრძანების ამოქმედებამდე TIR პროცედურაზე დაშვებულ პირებზე „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) თავი VII-ის („პირის დაშვება TIR პროცედურაზე“) მოქმედება გავრცელდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ.“.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017683

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №125

2023 წლის 5 აპრილს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №125-ით დამტკიცდა „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ანგარიშგების წესი“ კანონმპროექტზე თანდართული რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200010000.22.033.017682

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1014

2023 წლის 5 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №23/ნ-ით „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები და ,,მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის" მე-3 მუხლი (სტანდარტის სტრუქტურა); 23-ე მუხლი (დამატებითი მოთხოვნები და კომპეტენციები წამყვანი სპეციალური მასწავლებლისათვის) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018278

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №303

2023 წლის 5 აპრილს საქართველოს მინასთა მინისტრის ბრძანება №124 ბრძანებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ^{1}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის „ვ^{2}“ ქვეპუნქტი:

„ვ^{2}) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის მინიჭებული ფუნქციის შესრულების მიზნით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ვიდეოთვალთვალის სისტემასთან წვდომის/დაშვების წესსა და განსაზღვრავს ვიდეოთვალთვალის სისტემასთან წვდომაზე უფლებამოსილ თანამშრომლებს;“.

2. მე-8 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ზ^{1}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის „ზ^{2}“ ქვეპუნქტი:

„ზ^{2}) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მონიტორინგი;“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ^{2}“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფუნქცია განახორციელოს ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.22.033.017681

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2023 წლის 19 აპრილს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №135-ით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ინსტრუქციის 77[1] მუხლი (თამბაქოს ნაწარმზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის წესი) და ა.შ. ჩამოყალიბა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017685

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-15/ნ

2023 წლის 28 აპრილს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №27/ნ-ით, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის №01-15/ნ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული:

1. №1 დანართის „სამუშაო დროის აღრიცხვის წესის“:

ა) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის დახურვის თარიღი დგინდება დამსაქმებლის მიერ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული თვის 10 რიცხვისა, გარდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვისა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია მინიმალური საათობრივი ანაზღაურება. მინიმალური საათობრივი ანაზღაურების მიმღები სამედიცინო პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის დახურვის თარიღი განისაზღვრება არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული თვის 25 რიცხვისა.“;

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბ) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის შევსებისას გამოიყენება შემდეგი პირობითი აღნიშვნები (გამოიყენება მე-4 გრაფის შევსებისას):

ა) „დ“ – დასვენება/უქმე დღეები;

ბ) „ა/შ“ – ანაზღაურებადი შვებულება;

გ) „უ/შ“ – ანაზღაურების გარეშე შვებულება;

დ) „დ/შ-ა“ – დეკრეტული შვებულება – ანაზღაურებადი;

ე) „დ/შ-უ“ -დეკრეტული შვებულება – ანაზღაურების გარეშე;

ვ) „ს/ფ“ – საავადმყოფო ფურცელი;

ზ) „გ“ – გაცდენა.“.

2. №2 დანართი „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა“ ჩამოყალიბდა თანდართული რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების და დანართის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.017049

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №135

2023 წლის 4 აპრილს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის გათვალისწინებითა და „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა თანდართული „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023 – 2026 წლების ეროვნული სტრატეგია“ და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების 2023 – 2026 წლების სამოქმედო გეგმა“.

ზემოაღნიშნული გეგმის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017676

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №99

2023 წლის 6 აპრილს საქართველოს მთავრობის №140 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების“ მე-19 მუხლის:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. ინსპექტირების პროცესში ინსპექტირების განმახორციელებელ პირ(ებ)ს უფლება აქვს/აქვთ, განახორციელოს/განახორციელონ ობიექტის საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების, მისი საქმიანობის, ობიექტზე მყოფი დასაქმებულების, ასევე გამოვლენილ დარღვევათა ამსახველი ფოტომასალის/ვიდეომასალის გადაღება სრულად, რის შესახებაც ობიექტზე შესვლისთანავე აცნობებს/აცნობებენ ობიექტის უფლებამოსილ პირს. ფოტომასალა/ვიდეომასალა ინახება ჩანაწერის გაკეთებიდან არაუმეტეს 6 თვის ვადით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ გასაჩივრდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასში გამოვლენილი დარღვევები ასახულია ფოტომასალაში/ვიდეომასალაში, რომელიც უნდა წაიშალოს/განადგურდეს სამართალდარღვევის ოქმის განხილვის დასრულებისა და კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ).“.

2. პირველი პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ინსპექტირების პროცესის ამსახველი ფოტოჩანაწერის/ ვიდეოჩანაწერის შენახვისა და განადგურების პროცედურები დგინდება შრომის ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 270000000.10.003.023973

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge